ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

კახა ბიწაძე

ჰაარის სისტემისა და ჰაარის ვეივლეტის მიმართ ფურიეს მწკრივების განშლადობისა და კრებადობის ზოგიერთი საკითხი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

01.01.01 – მათემატიკური ანალიზი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ ბუღაძე

თბილისი – 2002

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

R-ით აღვნიშნოთ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, Z-ით მთელ რიცხვთა სიმრავლე, N-ით ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, ხოლო Z_0-ით – არაუარყოფით მთელ რიცხვთა სიმრავლე.

ჰაარის $\{\chi_p\}_{p=0}^{\infty}$ სისტემის ფუნქციები (იხ. [1] ან [2]) განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

$$\chi_0(t) = 1, \text{ თუ } t \in [0,1],$$

$$\chi_1(t) = \chi_0^{(0)}(t) = \begin{cases} 1, \text{ თუ } t \in \left[0, \frac{1}{2}\right), \\ -1, \text{ თუ } t \in \left[\frac{1}{2}, 1\right], \end{cases}$$

$$\chi_p(t) = \chi_n^{(k)}(t) = \begin{cases} \sqrt{2^n}, & \text{თუ } t \in \left[\frac{k}{2^n}, \frac{2k+1}{2^{n+1}}\right), \\ -\sqrt{2^n}, & \text{თუ } t \in \left[\frac{2k+1}{2^{n+1}}, \frac{k+1}{2^n}\right), \\ 0, & \text{თუ } t \in [0,1] \setminus \left[\frac{k}{2^n}, \frac{k+1}{2^n}\right), \end{cases}$$

$$\chi_{2^{n+1}-1}(t) = \chi_n^{(2^n-1)}(t) = \begin{cases} \sqrt{2^n}, & \text{თუ } t \in \left[\frac{2^n-1}{2^n}, \frac{2^{n+1}-1}{2^{n+1}}\right), \\ -\sqrt{2^n}, & \text{თუ } t \in \left[\frac{2^{n+1}-1}{2^{n+1}}, 1\right], \\ 0, & \text{თუ } t \in [0,1] \setminus \left[\frac{2^n-1}{2^n}, 1\right], \end{cases}$$

სადაც $p = 2^n + k$, $n \in Z_0$, $0 \le k \le 2^n - 1$. ჰაარის სისტემა სრული ორთონორმირებული სისტემაა $[0,1]$ სეგმენტზე.

$[0,1]$-ზე განსაზღვრული, ლებეგის აზრით ინტეგრებადი f ფუნქციის ფურიე-ჰაარის მწკრივს აქვს შემდეგი სახე:

$$f(x) \sim \sum_{p=0}^{\infty} a_p(f)\chi_p(x) = a_0(f) + \sum_{n=0}^{\infty}\sum_{k=0}^{2^n-1} a_n^{(k)}(f)\chi_n^{(k)}(x), \tag{1}$$

სადაც

$$a_0(f) = \int_0^1 f(t)dt\,, \quad a_p(f) = a_n^{(k)}(f) = \int_0^1 f(t)\chi_n^{(k)}(t)dt,$$

$$p = 2^n + k,\ \ n \in \mathbf{Z}_0,\ \ 0 \le k \le 2^n - 1,$$

f ფუნქციის ფურიე-ჰაარის კოეფიციენტებია.

ჰაარის სისტემის ნამდვილ რიცხვთა ღერძზე განვრცობის ერთ-ერთი მაგალითია ჰაარის ვეივლეტი, რომელიც ვეივლეტთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ვეივლეტთა ფართო კლასების აგების საშუალებას იძლევა ს. მალას მეთოდი, რომელსაც მრავალმასშტაბიან ანალიზს უწოდებენ.

ვეივლეტი ეწოდება $L^2(\mathrm{R})$ კლასის ისეთ Ψ ფუნქციას, რომლისგან წარმოქმნილი $\{\psi_{j,k} : j,k \in \mathrm{Z}\}$ სისტემა არის $L^2(\mathrm{R})$ სივრცის ორთონორმირებული ბაზისი, სადაც

$$\Psi_{j,k} = 2^{\frac{j}{2}}\psi(2^j x - k), \quad j,k \in \mathrm{Z}. \tag{2}$$

Ψ ფუნქციის როლში ავიღოთ ჰაარის სისტემის მეორე ფუნქცია, რომელსაც h-ით აღვნიშნავთ და რომელიც ნამდვილ რიცხვთა ღერძზე ასეა განსაზღვრული:

$$h(x) = \begin{cases} 1, & \text{თუ } x \in \left[0, \frac{1}{2}\right), \\ -1, & \text{თუ } x \in \left[\frac{1}{2}, 1\right], \\ 0, & \text{თუ } x \in \mathrm{R} \setminus [0, 1]. \end{cases}$$

ამ ფუნქციით განსაზღვრული $\{h_{j,k} : j,k \in \mathrm{Z}\}$ სისტემა სრული ორთონორმირებული ბაზისია $L^2(\mathrm{R})$ სივრცეში და მას ჰაარის ვეივლეტს უწოდებენ (იხ. [3]).

$f \in L^2(\mathrm{R})$ ფუნქციის ფურიეს მწკრივს ჰაარის ვეივლეტის მიმართ აქვს შემდეგი სახე:

$$f(x) \sim \sum_{j,k=-\infty}^{\infty} a_{j,k}(f) h_{j,k}(x), \quad x \in \mathrm{R},$$

სადაც

$$a_{j,k}(f) = \int_{-\infty}^{+\infty} f(t) h_{j,k}(t) dt, \quad j,k \in \mathrm{Z},$$

f ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტებია ჰაარის ვეივლეტის მიმართ.

0,1] მონაკვეთის (ნამდვილ რიცხვთა R ღერძის) ჰ ო მ ე ო მ ო რ ფ ი ზ მ ი ეწოდება $[0,1]$ მონაკვეთის (ნამდვილ რიცხვთა R ღერძის) ურთიერთცალსახა უწყვეტ ასახვას თავის თავზე.

ვიტყვით, რომ φ ჰომეომორფიზმი მოქმედებს ფუნქციათა A კლასში, თუ ყოველი $f \in A$ ფუნქციისათვის $f \circ \varphi \in A$.

ვთქვათ A_χ არის ისეთ $f \in L[0,1]$ ფუნქციათა კლასი, რომელთა ფურიე-ჰაარის მწკრივი ყველგან აბსოლუტურად კრებადია, ხოლო S_χ — ისეთ $f \in L[0,1]$ ფუნქციათა კლასი, რომელთა ფურიე-ჰაარის მწკრივი ყველგან კრებადია. ჰაარის ვეივლეტისათვის ანალოგიურად განისაზღვრებიან A_h და S_h კლასები.

ვთქვათ $\varphi_1(x) = x, \quad \varphi_2(x) = 1 - x, x \in [0, 1]$. ცხადია, რომ თუ $f \in A_\chi$, მაშინ $f \circ \varphi_2 \in A_\chi$ და თუ $f \in S_\chi$, მაშინ $f \circ \varphi_2 \in S$.

ვ.ბუღაძემ [4] დაადგინა, რომ ცვლადის უწყვეტად დიფერენცირებად ჰომეომორფულ გარდაქმნათა შორის მხოლოდ φ_1 და φ_2 მოქმედებენ A_χ და S_χ კლასებში.

დისერტაციის **პირველ თავში** დადგენილია ნამდვილ რიცხვთა R ღერძის ყველა იმ უწყვეტად დიფერენცირებადი ჰომეომორფიზმების კლასი, რომლებიც მოქმედებენ A_h და S_h კლასებში.

შენიშვნა. წარმოდგენილი დისერტაცია შედგება სამი თავისაგან. თეორემები, ლემები და შედეგები დანომრილია თავის შიგნით — თავის ნომერი, პარაგრაფის ნომერი, თეორემის (შესაბამისად, ლემის, შედეგის) ნომერი .

$k\ 2^{-m}$ სახის რიცხვებს, სადაც $k,m \in \mathrm{Z}$, ეწოდებათ ო რ ა დ - რ ა ც ი ო ნ ა ლ უ - რ ი . ყველა სხვა სახის რიცხვებს ეწოდებათ ო რ ა დ - ი რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი .

ორადი ინტერვალი ეწოდება

$$\Delta_k^{(m)} \equiv \left[\frac{k}{2^m}, \frac{k+1}{2^m}\right)$$

სახის ინტერვალს, სადაც $k,m \in$. m რიცხვს ეწოდება $\Delta_k^{(m)}$ ინტერვალის რ ა ნ გ ი . $\overset{+}{\Delta}{}_k^{(m)}$ და $\overset{-}{\Delta}{}_k^{(m)}$ აღნიშნავენ, შესაბამისად, ინტერვალებს

$$\left[k \cdot 2^{-m}, (2k+1)/2^{-m-1}\right) \text{ და } \left[(2k+1)/2^{-m-1}, (k+1)/2^{-m}\right).$$

$_x^{(m)}$ აღნიშნავს წერტილის მომცველ ($x \in \mathrm{R}$) რანგის ორად ინტერვალს.

შენიშნოთ, რომ ნებისმიერი $j,k \in \mathrm{Z}$ რიცხვებისათვის $\Delta_k^{(j)}$ ინტერვალი წარმოადგენს $h_{j,k}$ ფუნქციის საყრდენს (იხ. (2)). ამასთან

$$h_j^{(k)}(x) = \begin{cases} 2^{\frac{j}{2}}, & \text{თუ } x \in \overset{+}{\Delta}{}_k^{(j)} \\ -2^{\frac{j}{2}}, & \text{თუ } x \in \overset{-}{\Delta}{}_k^{(j)} \\ 0, & \text{თუ } x \in \mathrm{R} \setminus \Delta_j^{(k)}. \end{cases} \tag{3}$$

განვსაზღვროთ ფუნქციათა H კლასი შემდეგნაირად:

ვთქვათ H არის ისეთი უწყვეტად დიფერენცირებად $\varphi : \mathrm{R} \to \mathrm{R}$ ჰომეომორფიზმების კლასი, რომელთათვისაც სრულდება შემდეგი პირობები:

1 $\varphi^{-1}(0)$ ორად-რაციონალურია;

2 ა) თუ φ ზრდადი ჰომემომორფიზმია, მაშინ არსებობს ისეთი მთელი n_0 რიცხვი, რომ $\varphi'(x) = 2^{n_0}$ ნებისმიერი ნამდვილი x რიცხვისათვის;

ბ) თუ φ კლებადი ჰომემომორფიზმია, მაშინ არსებობს ისეთი მთელი n_0' რიცხვი, რომ $\varphi'(x) = -2^{n_0'}$ ნებისმიერი ნამდვილი x რიცხვისათვის;

დისერტაციის პირველი თავის ძირითადი შედეგებია:

შედეგი 1.2.1. ყველა უწყვეტად დიფერენცირებად ჰომეომორფიზმებს შორის მხოლოდ H კლასის ჰომეომორფიზმები მოქმედებენ A_h კლასში.

შედეგი 1.2.2. ყველა უწყვეტად დიფერენცირებად ჰომეომორფიზმებს შორის მხოლოდ H კლასის ჰომეომორფიზმები მოქმედებენ S_h კლასში.

დისერტაციის **მეორე თავში** განხილულია ფურიე-ჰაარის მწკრივების ნული ზომის სიმრავლეებზე განშლადობის საკითხები.

ტრიგონომეტრიული მწკრივებისათვის განშლადობის საკითხები დიდი ხანია კვლევის საგანია და ამ მიმართულებით გადაჭრილია მნიშვნელოვანი პრობლემები.

1876 წელს პ. დიუ ბუა-რეიმონმა [5] ააგო ისეთი უწყვეტი ფუნქცია, რომლის ფურიეს მწკრივი განშლადია ზოგიერთ წერტილებში.

1911 წელს ნ. ნ ლუზინმა [6] ააგო ხარისხოვანი მწკრივი $S = \sum_{k=0}^{\infty} c_k z^k$, რომელიც განშლდია $T = \{z : |z| = 1\}$ წრეწირზე. მან აგრეთვე დაამტკიცა, რომ მწკრივის ნამდვილი ნწილი თითქმის ყველგან განშლადია T-ზე. მოგვიანებით ს.ბ. სტეჩკინმა [7], [8] დაამტიცა, რომ ლუზინის მაგალითში მწკრივის როგორც ნამდვილი, ისე წარმოსახვით ნაწილი, ყველგან განშლადია T-ზე.

1923 წელს ა. ნ. კოლმოგოროვმა [9] ააგო ლებეგის აზრით ინტეგრებადი ფუნქცია, რომლის ფურიეს მწკრივი თითქმის ყველგან განშლადია $[0,2\pi]$-ზე. მანვე 1926 წლს ააგო ლებეგის აზრით ინტეგრებადი ფუნქცია, რომლის ფურიეს მწკრივი ყველგნ განშლადია $[0,2\pi]$-ზე (იხ. [10]).

1951 წელს ს. ბ. სტეჩკინმა [7] დაამტკიცა, რომ ნული ზომის ყოველი სიმრავლისათვის არსებობს ფუნქცია $f \in L^2(0,2\pi)$, რომლის ფურიეს მწკრივი განშლადია ამ სიმრავლეზე.

1963 წელს ლ. ვ. ტაიკოვმა [11] დაამტკიცა, რომ თუ $p \geq 1$, მაშინ ნული ზომის ყოველი სიმრავლისათვის არსებობს ფუნქცია $f \in L^p(0,2\pi)$, რომლის ფურიეს მწკრივი და მის მიმართ შეუღლებული მწკრივი შემოუსაზღვრელად განშლადნი არიან ამ სიმრავლეზე.

1966 წელს ჟ. -პ. კაჰანმა და ი. კაცნელსონმა [12] დაამტკიცეს, რომ ნული ზომის ყოველი სიმრავლისათვის არსებობს ნამდვილი ცვლადის კომპლექსურმნიშვნელობებიანი უწყვეტი ფუნქცია, რომლის ფურიეს მწკრივი შემოუსაზღვრელად განშლადია ამ სიმრავლეზე. 1970 წელს ვ. ვ. ბუზდალინმა [13] ეს შედეგი გადაიტანა ნამდვილ ფუნქციებზე.

1966 წელს ლ. კარლესონმა [14] დაამტკიცა, რომ თუ $f \in L^2(0,2\pi)$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს მწკრივი თითქმის ყველგან კრებადია $(0,2\pi)$-ზე.

1967 წელს რ. ჰანტმა [15] განაზოგადა ლ. კარლესონის შედეგი, დაამტკიცა რა, რომ თუ $f \in L^p(0,2\pi)$ და $p > 1$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს მწკრივი თითქმის ყველგნ კრებადია $(0,2\pi)$-ზე.

ზქოთ წარმოდგენილი საკითხები განხილულ იქნა ჰაარის მწკრივებისთვისაც. აქვე შვნიშნოთ, რომ ამ თემატიკის ისტორიული ცნობები, თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემატიკა გადმოცემულია ბ. ი. გოლუბოვის[16], პ. ლ. ულიანოვის[17]და უ. უეიდის[18] შრომებში.

190 წელს ა. ჰაარმა [19] დაამტკიცა, რომ $[0,1]$-ზე უწყვეტი ყოველი ფუნქციის ფურიეჰაარის მწკრივი თანაბრად კრებადია$[0,1]$-ზე ამ ფუნქციისაკენ. მანვე დაამტკიც, რომ ლებეგის აზრით ინტეგრებადი ყოველი ფუნქციის ფურიე-ჰაარის მწკრიი თითქმის ყველგან კრებადია $[0,1]$-ზე ამ ფუნქციისაკენ.

1?1 წელს ვ. ი. პროხორენკომ [20] დაამტკიცა, რომ ნული ზომის ყოველი სიმრავლისათის არსებობს ფუნქცია $\bigcap\limits_{p\geq 1} L^p$ კლასიდან, რომლის ფურიე-ჰაარის მწკრივი განშლადიამ სიმრავლეზე.

192 წელს ვ. ბუღაძემ [21] დაამტკიცა, რომ ნული ზომის ყოველი სიმრავლისათვის ასებობს ისეთი შემოსაზღვრული, ზომადი ფუნქცია, რომლის ფურიე-ჰაარის მწკრიი განშლადია ამ სიმრავლეზე.

nგანზომილებიან $[0,1]^n$კუბზე განსაზღვრული ლებეგის აზრით ინტეგრებადი f ფუნციის ფურიე-ჰაარის n-ჯერად მწკრივს აქვს შემდეგი სახე:

$$(x_1, x_2, \ldots, x_n) \sim \sum_{m_1, m_2, \ldots, m_n = 0}^{\infty} a_{m_1, m_2, \ldots, m_n}(f)\chi_{m_1}(x_1)\chi_{m_2}(x_2)\ldots\chi_{m_n}(x_n),$$

$$(x_1, x_2, \ldots, x_n) \in [0,1]^n,$$

სადაც

$$a_{m_1 m_2 \ldots, m_n}(f) = \int\limits_{[0,1]^n} f(t_1, t_2, \ldots, t_n)\chi_{m_1}(t_1)\chi_{m_2}(t_2)\ldots\chi_{m_n}(t_n)dt_1 dt_2 \ldots dt_n$$

f ფუნციის ფურიე-ჰაარის კოეფიციენტებია, ხოლო $\{\chi_{m_1}\chi_{m_2}\cdots\chi_{m_n}\}$ — ჰაარის n-ჯერდი სისტემაა, $m_1, m_2, \ldots, m_n = 1,2,\ldots,\ \ n \geq 2,\ n \in \mathrm{N}$

ვქვათ $\{x_{m_1, m_2, \ldots, m_n}\}_{m_1, m_2, \ldots, m_n = 1}^{\infty}$ რიცხვითი მიმდევრობაა, ხოლო $\lambda > 1$ რაიმე ნამდვილრიცხვია. $\{x_{m_1, m_2, \ldots, m_n}\}_{m_1, m_2, \ldots, m_n = 1}^{\infty}$ მიმდევრობას ეწოდება λ-კრებადი რაიმე ნამდვილ C რიცხვისაკენ, თუ ნებისმიერი $\varepsilon > 0$ ნამდვილი რიცხვისათვის მოიძებნება ისეი $p \in \mathrm{N}$ რიცხვი, რომ ნებისმიერი $m_k > p$ ნატურალური რიცხვებისათვის,

$k = 1, 2.., n$,რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$\frac{1}{\lambda} < \frac{m_i}{m_j} < \lambda, \quad i, j = 1,2,\dots,n, \tag{*}$$

სამართლიანია უტოლობა

$$|x_{m_1,m_2,\dots,m_n} - \mathbf{C}| < \varepsilon .$$

თუ უკანასკნელი უტოლობა სრულდება (*) პირობების გარეშე, მაშინ მოცემულ მიმდევრობას ეწოდება პრინგსჰეიმის აზრით კრებადი **C** რიცხვისაკენ.

ო. ძაგნიძემ [22] დაამტკიცა, რომ $f \in L[0,1]^2$ფუნქციის ფურიე-ჰაარის ორჯერადი მწკრივი შეიძლება თითქმის ყველგან განშლადი იყოს, მაგრამ აუცილებლად თითქმის ყველგან λ-კრებადია (λ>1) ამ ფუნქციისაკენ. გარდა ამისა $f \in L\log^+ L[0,1]^2$ ფუნქციის ფურიე-ჰაარის ორჯერადი მწკრივი თითქმის ყველგან კრებადია ამ ფუნქციისკენ.

მორე თავში დამტკიცებული თეორემა წარმოადგენს ვ. ბუღაძის შედეგის ანალოგს მრავალი ცვლადის ფუნქციის ფურიე-ჰაარის ჯერადი მწკრივისათვის (პრინგსჰეიმის აზრით კრებადობისათვის; უფრო მეტიც λ -კრებადობისათვის).

თეორემა 2.2.1. **n**-განზომილებიანი $[0,1]^n$კუბის ნული ზომის ყოველი E ქვესიმრავლისათვის არსებობს $[0,1]^n$-ზე განსაზღვრული, შემოსაზღვრული, ზომადი ფუნქცია ისეთი რომ ამ ფუნქციის ფურიე-ჰაარის **n**-ჯერადი მწკრივი არ არის λ-კრებადი E სიმრავლეზე, თუ λ>1.

დისერტაციის **მესამე თავში** განხილულია ფურიე-ჰაარის მწკრივების განშლადობის სიმრავლეებთან დაკავშირებული საკითხები.

Eსიმრავლეს ეწოდება $\widetilde{G}_\delta$ტიპის სიმრავლე, თუ ის შეიძლება წარმოდგეს შემდეგი სახით:

$$E = \bigcap_{k=1}^{\infty} G_k, \quad G_{k+1} \subset G_k, \quad G_k = \bigcup_{i=1}^{\infty} < \alpha_i^{(k)}, \beta_i^k >, \quad k \in \mathbb{N},$$

სადაც$< \alpha_i^{(k)}, \beta_i^k >$ შუალედები, $i = 1, 2, \dots,$ წყვილ-წყვილად თანაუკვეთია, ხოლო α (β_i^k)წერტილი შეიძლება ეკუთვნოდეს G_k სიმრავლეს მაშინ, როცა α_i^k (β_i^k)ირაციონალურია ($< a,b >$აღნიშავს ერთ-ერთს შემდეგი სიმრავლეებიდან (a,b), $[a,b)$, $(a,b]$, $[a,b]$).

ვთქვათ მოცემული გვაქვს რაიმე A სიმრავლეზე განსაზღვრული ფუნქციებისაგან შედგენილი ფუნქციონალური მწკრივი, რომლის კერძო ჯამების მიმდევრობაა S_n. მაშინ

$$E = \{t : t \in A, \ \lim_{n\to\infty} S_n \text{ ზღვარი არ არსებობს}\}$$

სიმრავლეს ეწოდება მოცემული ფუნქციონალური მწკრივის გ ა ნ შ ლ ა დ ო ბ ი ს სიმრავლე;

$$E_0 = A \setminus E$$

სიმრავლეს ეწოდება მოცემული ფუნქციონალური მწკრივის კ რ ე ბ ა დ ო ბ ი ს სიმრავლე;

$$E' = \{t : t \in A, \ \overline{\lim_{n\to\infty}} \, |S_n| = \infty\}$$

სიმრავლეს ეწოდება მოცემული ფუნქციონალური მწკრივის შ ე მ ო უ ს ა ზ ღ ვ რ ე - ლ ა დ გ ა ნ შ ლ ა დ ო ბ ი ს სიმრავლე.

197, წელს მ. ა. ლუნინამ [23] დაამტკიცა შემდეგი თეორემა: ვთქვათ φ ნებისმიერო, 0 , ∞)ზე არაკლებადი, ლუწი ფუნქციაა. ამასთან

$$\varphi(0) = 0, \ \lim_{x\to\infty} \varphi(x) = \varphi(\infty) = +\infty$$

მაშინ $\widetilde{G}$ ტიპის ნული ზომის ყოველი E სიმრავლისათვის არსებობს ფუნქცია $L \cap \varphi(L$ ლასიდან, რომლის ფურიე-ჰაარის მწკრივი შემოუსაზღვრელად განშლადია E სმრავლეზე და კრებადია $[0,1] \setminus E$ სიმრავლეზე.

197 წელს ვ. ი. პროხორენკომ [20] დაამტკიცა, რომ $[0,1]$-ის ყოველი თვლადი F ქვესირავლისათვის არსებობს შემოსაზღვრული ფუნქცია, რომლის ფურიე-ჰაარიჱ ჻კრივი განშლადია F სიმრავლეზე და კრებადია $[0,1] \setminus F$ სიმრავლეზე (რაც იმას ნოშავს, რომ $[0,1]$-ის ყოველი თვლადი F ქვესიმრავლე წარმოადგენს რომელიღაც ემოსაზღვრული ფუნქციის ფურიე-ჰაარის მწკრივის განშლადობის სიმრავლეს

მესმე თავში დამტკიცებული თეორემა წარმოადგენს ამ უკანასკნელი შედეგის ანალოგ მრავალი ცვლადის ფუნქციის ფურიე-ჰაარის ჯერადი მწკრივისათვის (პრინგსჰეიმის აზრით კრებადობისათვის; უფრო მეტიც λ -კრებადობისათვის).

თეორემა 3.3.1. **n**-განზომილებიანი $[0,1]^n$ კუბის ყოველი თვლადი F ქვესიმრავლისათვის არსებობს $[0,1]^n$-ზე განსაზღვრული, შემოსაზღვრული, ზომადი ფუნქცია, რომლის ფურიე-ჰაარის **n**-ჯერადი მწკრივი პრინგსჰეიმის აზრით კრებადია $[0,1]^n \setminus F$ სიმრავლეზე და არ არის λ კრებადი F სიმრავლეზე, თუ λ=1.

დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია [24-26] შრომებში.

ბოლოს ავტორი გამოხატავს მადლიერებას პროფესორ ვ. ბულაძისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრასთან არსებული სამეცნიერო სემინარის (ხელმძღვანელი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ლ. ჟიჟიაშვილი) წევრების მიმართ სასარგებლო რჩევებისათვის.

თავი I.
ცვლადის იმ გარდაქმნათა შესახებ, რომლებიც ინახავენ ჰაარის ვეივლეტის მიმართ ფურიეს მწკრივების კრებადობასა და აბსოლუტურად კრებადობას

§1. კლასის დადგენა

ვთქვათ $\{h_{j,k} : j,k \in \mathrm{Z}\}$ ჰაარის ვეივლეტია და f ფუნქცია $L^2(\mathrm{R})$ კლასიდანაა. f ფუნქციის ფურიეს მწკრივს ჰაარის ვეივლეტის მიმართ აქვს შემდეგი სახე:

$$f(x) \sim \sum_{j,k=-\infty}^{\infty} a_{j,k}(f) h_{j,k}(x), \quad x \in \mathrm{R}. \tag{4}$$

ყველა იმ $f \in L^2(\mathrm{R})$ ფუნქციათა კლასი, რომელთათვისაც (4) მწკრივი ყველგან აბსოლუტურად კრებადია აღვნიშნეთ A_h-ით, ხოლო ყველა იმ $f \in L^2(\mathrm{R})$ ფუნქციათა კლასი, რომელთათვისაც (4) მწკრივი ყველგან კრებადია — S_h-ით.

ფუნქციათა H კლასი განვსაზღვრეთ შემდეგნაირად:

ვთქვათ H არის ისეთი უწყვეტად დიფერენცირებადი $\varphi : \mathrm{R} \to \mathrm{R}$ ჰომეომორფიზმების კლასი, რომელთათვისაც სრულდება შემდეგი პირობები:

1. $\varphi^{-1}(0)$ ორად-რაციონალურია;

2. ა) თუ φ ზრდადი ჰომემომორფიზმია, მაშინ არსებობს ისეთი მთელი n_0 რიცხვი, რომ $\varphi'(x) = 2^{n_0}$ ნებისმიერი ნამდვილი x რიცხვისათვის;

ბ) თუ φ კლებადი ჰომემომორფიზმია, მაშინ არსებობს ისეთი მთელი n_0' რიცხვი, რომ $\varphi'(x) = -2^{n_0'}$ ნებისმიერი ნამდვილი x რიცხვისათვის;

H კლასის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ამ კლასის ჰომეომორფიზმები წარმოდგებიან შემდეგნაირად:

ა) თუ φ ზრდადი ჰომემომორფიზმია, მაშინ მოიძებნებიან ისეთი $n_0, m_0, r_0 \in \mathrm{Z}$ რიცხვები რომ

$$\varphi(x) = 2^{n_0} x + \frac{m_0}{2^{r_0}}, \quad x \in \mathrm{R}; \tag{5}$$

ბ) თუ φ კლებადი ჰომემომორფიზმია, მაშინ მოიძებნებიან ისეთი $n_0', m_0', r_0' \in \mathrm{Z}$ რიცხვები რომ

$$\varphi(x) = -2^{n_0'} x + \frac{m_0'}{2^{r_0'}}, \quad x \in \mathrm{R}. \tag{6}$$

შენიშვა. ამ თავში მოყვანილ თეორემებს ვამტკიცებთ ზრდადი ჰომეომორფიზმებისათის. კლებადი ჰომეომორფიზმებისათვის აღნიშნული თეორემები მტკიცდება ანალგიურად.

სამართლიანია შემდეგი

თეორემა 1.1.1. H კლასის ჰომეომორფიზმები მოქმედებენ A_h კლასში.

დამტკცება. ვთქვათ $\varphi \in H$. მაშინ რაიმე მთელი n_0, m_0 და r_0 რიცხვებისათვის ის წარმოიდინება (5) სახით. უნდა ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი $f \in A_h$ ფუნქციისასათვის $f \circ \varphi \in A_h$.

ნებისმერი $j,k \in Z$ რიცხვებისათვის (3) ტოლობის თანახმად გვექნება, რომ

$$a_{j,k}(f \circ \varphi) = \int_{-\infty}^{+\infty} f(\varphi(t)) h_{j,k}(t)dt = \int_{\frac{k}{2^j}}^{\frac{k+1}{2^j}} f(\varphi(t)) h_{j,k}(t)dt =$$

$$= 2^{\frac{j}{2}} \left(\int_{\frac{k}{2^j}}^{\frac{2k+1}{2^{j+1}}} f(\varphi(t))dt - \int_{\frac{2k+1}{2^{j+1}}}^{\frac{k+1}{2^j}} f(\varphi(t))dt \right). \tag{7}$$

რადგან $\varphi \in H$, ამიტომ (7) ტოლობაში შეგვიძლია მოვახდინოთ ცვლადის გარდაქმნა (იხ. [27], გვ. 244), რის შედეგადაც მივიღებთ (იხ. (5)):

$$a_{j,k}(f \circ \varphi) = 2^{\frac{j}{2}} \left(\int_{\varphi\left(\frac{k}{2^j}\right)}^{\varphi\left(\frac{2k+1}{2^{j+1}}\right)} \frac{f(t)}{\varphi'(t)} dt - \int_{\varphi\left(\frac{2k+1}{2^{j+1}}\right)}^{\varphi\left(\frac{k+1}{2^j}\right)} \frac{f(t)}{\varphi'(t)} dt \right) =$$

$$=2^{\frac{j}{2}-n_0}\left(\int\limits_{k\cdot 2^{n_0-j}+\frac{m_0}{2^{r_0}}}^{(2k\cdot+1)2^{n_0-j-1}+\frac{m_0}{2^{r_0}}} f(t)dt - \int\limits_{(2k\cdot+1)2^{n_0-j-1}+\frac{m_0}{2^{r_0}}}^{(k+1)\cdot 2^{n_0-j}+\frac{m_0}{2^{r_0}}} f(t)dt\right), \quad j,k\in Z. \tag{8}$$

ვთქვათ $j>|n_0|+|r_0|$. მაშინ

$$\left[k\cdot 2^{n_0-j}+\frac{m_0}{2^{r_0}},\ (k+1)\cdot 2^{n_0-j}+\frac{m_0}{2^{r_0}}\right)=$$

$$=\left[\frac{k+m_0\cdot 2^{j-n_0-r_0}}{2^{j-n_0}},\ \frac{k+m_0\cdot 2^{j-n_0-r_0}+1}{2^{j-n_0}}\right)=\Delta^{(j-n_0)}_{k+m_0\cdot 2^{j-n_0-r_0}}.$$

ამიტომ (8)ტოლობიდან ვღებულობთ, რომ (იხ. (3))

$$a_{jk}(f\circ\varphi)=2^{-\frac{n_0}{2}}\int\limits_{\Delta^{(j-n_0)}_{k+m_0 2^{j-n_0-r_0}}} f(t)h_{j-n_0,k+m_0 2^{j-n_0-r_0}}(t)dt=$$

$$=2^{-\frac{n_0}{2}}\int\limits_{-\infty}^{+\infty} f(t)h_{j-n_0,k+m_0 2^{j-n_0-r_0}}(t)dt=$$

$$=2^{-\frac{n}{2}}a_{j-n_0,k+m_0 2^{j-n_0-r_0}}(f),\quad j,k\in Z,\quad j>|n_0|+|r_0|. \tag{9}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$B = -\left(|n_0| + |r_0| + \left|1 - n_0 + \log_2 \frac{|m_0| + 2^{r_0}}{2^{r_0}}\right|\right). \tag{10}$$

ვთქვათ $j < B$. მაშინ $|m_0| \cdot 2^{-r_0} < 2^{-j+n_0-1}$. ამიტომ:

1) ლუ $m_0 > 0$, მაშინ

$$\begin{gathered} k \cdot 2^{n_0-j} < k \cdot 2^{n_0-j} + m_0 \cdot 2^{-r_0} < (2k+1) \cdot 2^{n_0-j-1} < (2k+1) \cdot 2^{n_0-j-1} + m_0 \cdot 2^{-r_0} < \\ < (k+1) \cdot 2^{n_0-j} < (k+1) \cdot 2^{n_0-j} + m_0 \cdot 2^{-r_0}. \end{gathered} \tag{11}$$

2) ლუ $m_0 < 0$, მაშინ

$$\begin{gathered} k \cdot 2^{n_0-j} + m_0 \cdot 2^{-r_0} < k \cdot 2^{n_0-j} < (2k+1) \cdot 2^{n_0-j-1} + m_0 \cdot 2^{-r_0} < (2k+1) \cdot 2^{n_0-j-1} < \\ < (k+1) \cdot 2^{n_0-j} + m_0 \cdot 2^{-r_0} < (k+1) \cdot 2^{n_0-j}. \end{gathered} \tag{12}$$

შენშვნა. თუ $m_0 = 0$, მაშინ (8)-დან ვღებულობთ, რომ

$$a_{j,k}(f \circ \varphi) = 2^{-\frac{n_0}{2}} a_{j-n_0,k}(f), \quad j,k \in Z. \tag{13}$$

განიხილოთ 1) შემთხვევა. ვთქვათ $m_0 > 0$. მაშინ (11) თანაფარდობის ძალით (8) ტოლიბიდან ვღებულობთ, რომ

$$a_{j,k}(f\varphi) = 2^{\frac{j}{2}-n_0}\left[\left(\int_{k2^{n_0-j}}^{(2k+1)2^{n_0-j-1}} f(t)dt + \int_{(2k+1)2^{n_0-j-1}}^{(2k+1)2^{n_0-j-1}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt - \int_{k2^{n_0-j}}^{k2^{n_0-j}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt\right) - \right.$$

$$\left. - \left(\int_{(2k+1)2^{n_0-j-1}}^{(k+1)2^{n_0-j}} f(t)dt + \int_{(k+1)2^{n_0-j}}^{(k+1)2^{n_0-j}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt - \int_{(2k+1)2^{n_0-j-1}}^{(2k+1)2^{n_0-j-1}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt\right)\right] =$$

$$=2^{\frac{j}{2}-n_0}\left(\int_{k2^{n_0-j}}^{(2k+1)2^{n_0-j-1}} f(t)dt-\int_{(2k+1)2^{n_0-j-1}}^{(k+1)2^{n_0-j}} f(t)dt\right)+2^{\frac{j}{2}-n_0}\left(2\int_{(2k+1)2^{n_0-j-1}}^{(2k+1)2^{n_0-j-1}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt-\right.$$

$$\left.-\int_{k2^{n_0-j}}^{k2^{n_0-j}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt-\int_{(k+1)2^{n_0-j}}^{(k+1)2^{n_0-j}+m_0 2^{-r_0}} f(t)dt\right).$$

თუ გამოვიყენებთ ჰელდერის უტოლობას მაშინ უკანასკნელი ტოლობიდან მივიღებთ:

$$\left|a_{j,k}(f\circ\varphi)\right|\leq 2^{-\frac{n_0}{2}}\left|a_{j-n_0,k}(f)\right|+2^{\frac{j}{2}-n_0+2}\sqrt{|m_0|2^{-r_0}}\,\|f\|_{L^2},\ \ j,k\in Z,\ \ j<B. \tag{14}$$

ანალოგიურ შეფასებას მივიღებთ 2) შემთხვევაშიც (12) და (8) თანაფარდობების გამოყენებით.

ვთქვათ $x\in R$. თუ $j,k\in Z$, $j>|n_0|+|r_0|$ და $x\in\Delta_k^{(j)}$, მაშინ

$$\varphi(x)\in\Delta^{(j-n_0)}_{k+m_0 2^{j-n_0-r_0}}.$$

თუ $j,k\in Z$, $j<B$ და $x\in\Delta_k^{(j)}$, მაშინ

$$\varphi(x)-\frac{m_0}{2^{r_0}}\in\Delta_k^{(j-n_0)}.$$

ნებისმიერი $x\in R$ წერტილი თითოეული $j\in Z$ რიცხვისათვის ეკუთვნის არაუმეტეს ორ ერთმანეთის მომდევნო ჰაარის ვეივლეტის საყრდენს. ე. ი. ყოველი $j\in Z$ რიცხვისათვის მოიძებნება ისეთი მთელი k_j რიცხვი, რომ $x\in\Delta_{k_j}^{(j)}\cup\Delta_{k_j+1}^{(j)}$.

ამ უკანასკნელი ფაქტებისა და (10) და (14) თანაფარდობების გამოყენებით ნებისმიერი $x\in R$ წერტილისათვის გვექნება, რომ

$$\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f\circ\varphi)h_{j,k}(x)\right|\le$$

$$\le\sum_{j=|n_0|+|r_0|+1}^{\infty}\left(\left|a_{j-n_0,k_j+m_0 2^{j-n_0-r_0}}(f)h_{j-n_0,k_j+m_0 2^{j-n_0-r_0}}(\varphi(x))\right|+\right.$$

$$\left.+\left|a_{j-n_0,k_j+1+m_0 2^{j-n_0-r_0}}(f)h_{j-n_0,k_j+1+m_0 2^{j-n_0-r_0}}(\varphi(x))\right|\right)+$$

$$+\sum_{j=-\infty}^{B-1}\left(\left|a_{j-n_0,k_j}(f)h_{j-n_0,k_j}\left(\varphi(x)-\frac{m_0}{2^{r_0}}\right)\right|+\right.$$

$$\left.+\left|a_{j-n_0,k_j+1}(f)h_{j-n_0,k_j+1}\left(\varphi(x)-\frac{m_0}{2^{r_0}}\right)\right|+2^{\frac{j}{2}-n_0+3}\sqrt{|m_0|2^{-r_0}}\|f\|_{L^2}\right)+$$

$$+\sum_{j=B}^{|n_0|+|r_0|}\left(\left|a_{j,k_j}(f\circ\varphi)h_{j,k_j}(x)\right|+\left|a_{j,k_j+1}(f\circ\varphi)h_{j,k_j+1}(x)\right|\right)\le$$

$$\le\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f)h_{j,k}(\varphi(x))\right|+\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f)h_{j,k}\left(\varphi(x)-\frac{m_0}{2^{r_0}}\right)\right|+C,\qquad(15)$$

სადაც

$$C=\frac{2^{-n_0+3}}{\sqrt{2}-1}\sqrt{|m_0|2^{-r_0}}\|f\|_{L^2}+$$

$$+\sum_{j=B}^{|n_0|+|r_0|}\left(\left|a_{j,k_j}(f\circ\varphi)h_{j,k_j}(x)\right|+\left|a_{j,k_j+1}(f\circ\varphi)h_{j,k_j+1}(x)\right|\right).$$

შენიშვნა. თუ $m_0 = 0$ მაშინ (იხ. (13))

$$\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f\circ\varphi)h_{j,k}(x)\right|\leq\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f)h_{j,k}(\varphi(x))\right| \tag{16}$$

რადგან $f\in A_h$ და C(იხ. (15)) მუდმივი სიდიდეა, ამიტომ (15) და (16) შეფასებებიდან გამომდინარეობს, რომ $f\circ\varphi\in A_h$ თეორემა დამტკიცებულია.

§2. აუცილებლობა

§1-ში დამტკიცებული თეორემის თანახმად იმისათვის, რომ რაიმე ჰომემორფიზმი მოქმედებდეს A_h კლასში საკმარისია, რომ ის ეკუთვნოდეს H კლასს. ქვემოთ ნაჩვენები იქნება ამ პირობის აუცილებლობა.

სამართლიანია შემდეგი

თეორემა 1.2.1. ვთქვათ $\varphi: R\to R$ რაიმე უწყვეტად დიფერენცირებადი ჰომეომორფიზმია, ისეთი რომ $\varphi\notin H$ მაშინ არსებობს ისეთი შემოსაზღვრული ფუნქცია $f\in A_h$, რომ $f\circ\varphi\notin S_h$.

დამტკიცება. რადგან $\varphi\notin H$ ამიტომ ადგილი აქვს შემდეგი ორი შემთხვევიდან ერთ-ერთს:

I. $\varphi^{-1}(0)$ორად-ირაციონალურია;

II. არსებობს ისეთი $x_0\in R$ და $n_0\in Z$ რიცხვები, რომ $2^{n_0}<\varphi'(x_0)<2^{n_0+1}$

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

I. ავაგოთ fფუნქცია შემდეგნაირად:

0 0

$$f(x)=\begin{cases}1, & \text{თუ } x\in[-1,0)\\ 0, & \text{თუ } x\in R\setminus[-1,0)\end{cases} \tag{17}$$

f ფუნქციის (ჰაარის ვეივლეტების მიმართ) ფურიეს კოეფიციენტებიდან ნუ-ლისაგან განსხვავდებიან მხოლოდ $a_{j,-1}(f)$ $j=-1,-2,..$, კოეფიციენტები. ამასთან (იხ. (17))

$$|a_{j,-1}(f)|=\left|\int\limits_{\Delta_{-1}^{(j)}} f(t)h_{j,-1}(t)dt\right|=\left|\int\limits_{-2^{-j}}^{0} f(t)h_{j,-1}(t)dt\right|=\left|\int\limits_{0}^{1} h_{j,-1}(t)dt\right|<2^{\frac{j}{2}},\ \ j=-1,-2,\ldots.$$

აქედან გამომდინარე ნებისმიერი $x\in R$ წერტილისათვის გვექნება, რომ

$$\left|a_{j,-1}(f)h_{j,-1}(x)\right|<2^{j},\ \ j=-1,-2,..$$

ამიტომ

$$\sum_{j,k=-\infty}^{\infty}\left|a_{j,k}(f)h_{j,k}(x)\right|<\sum_{j=1}^{\infty}2^{-j}<\infty,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ $f\in A_h$.

(1') ტოლობის ძალით $f\circ\varphi$ სუპერპოზიციისათვის გვექნება

$$f(\varphi(t))=\begin{cases}1, \text{ თუ } \varphi^{-1}(-1)\le x\le\varphi^{-1}(0),\\ 0, \text{ თუ } x\in\left(-\infty,\varphi^{-1}(-1)\right)\bigcup\left(\varphi^{-1}(0),+\infty\right)\end{cases} \tag{18}$$

(1')-დან გამომდინარეობს, რომ $f\circ\varphi$ ფუნქციას აქვს პირველი გვარის წყვეტა $\varphi^{-1}(0)$ წერტილში, რომელიც ჩვენი დაშვების თანახმად ორად-ირაციონალურია. ამიტომ ფუნქციის ფურიეს მწკრივი ჰაარის ვეივლეტის მიმართ განშლადია $\varphi^{-1}(0)$ წერტილში (იხ. [28, გვ.261]).

ამრიგად I შემთხვევაში თეორემა დამტკიცებულია.

განვიხილოთ შემთხვევა II. ამ შემთხვევაში არსებობენ ისეთი $x_0\in R$ და $n_0\in Z$ რიცხვები, რომ $2^{n_0}<\varphi'(x_0)<2^{n_0+1}$ ვიგულისხმოთ, რომ $\varphi^{-1}(x_0)$ ორად-რაციო-ნალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში თეორემას დავამტკიცებდით I შემთხვევის ანალოგიურად.

რადგან φ' ფუნქცია უწყვეტია და ორად-რაციონალურ წერტილთა სიმრავლე ყველგან მკვრივია R-ში, ამიტომ არსებობს ისეთი ორად-რაციონალური b რიცხვი, რომ $\varphi(b)$ ორად-რაციონალურია და $2^{n_0}<\varphi'(b)<2^{n_0+1}$.

ვთქვათ δ , ζ და η ისეთი რიცხვებია, რომ

$$2^{n_0} < \zeta < \varphi'(b) < \eta < 2^{n_0+1}, \ \zeta < \varphi'(x) < \eta,$$

$$\zeta < \frac{\varphi(x) - \varphi(b)}{x - b} < \eta, \ \ x \in (b, b + \delta), \ \ \delta > 0. \tag{19}$$

რადგან b და $\varphi(b)$ორად-რაციონალური რიცხვებია, ამიტომ ისინი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$b = p2^{-r}, \ \ \varphi(b) = q2^{-r}, \ \ p, q, r \in Z.$$

ვთქვათ $l_0 > |n_0| + |r| + 1$ ისეთი ნატურალური რიცხვია, რომ $2^{-l_0} < \delta$. მაშინ ყოველი $n \geq l_0$ნატურალური რიცხვისათვის

$$[p2^{-r}, p2^{-r} + 2^{-n}) = \Delta^{(n)}_{p2^{n-r}},$$

$$[q2^{-r}, q2^{-r} + 2^{-n+n_0+1}) = \Delta^{(n-n_0-1)}_{q2^{n-r-n_0-1}}.$$

(19)-დან გამომდინარეობს, რომ

$$\zeta 2^{-n} < \varphi(p2^{-r} + 2^{-n}) - q2^{-r} < \eta 2^{-n}, \ \ n = l_0, l_0 + 1,.. \tag{20}$$

ვთქვათ $\lambda = \zeta - 2^{n_0}$, $\xi = 2^{n_0+1} - \eta$ მაშინ (20) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$q2^{-r} + 2^{-n+n_0} + \lambda 2^{-n} < \varphi(p2^{-r} + 2^{-n}) < q2^{-r} + 2^{-n+n_0+1} - \xi 2^{-n},$$

$$n = l_0, l_0 + 1,... \backslash \tag{21}$$

ვთქვათ $\gamma \equiv \min\{\lambda; \xi\}$და $\{n_i\}_{i=1}^{\infty}$ნატურალურ რიცხვთა ზრდადი მიმდევრობაა, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$n_1 \geq l_0, \ \ n_i \geq n_{i-1} + 2|n_0| + 3 - \log_2^{\zeta\gamma}, \ \ i = 2,3,... \tag{22}$$

(21)-დან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $i \in N$ რიცხვისათვის მოიძებნებიან ისეთი u_i, v_i, y_i და z_i ნამდვილი რიცხვები, რომ

$$q2^{-r}+2^{-n_i+n_0}<u_i<v_i<\varphi(p2^{-r}+2^{-n_i})<y_i<z_i<q2^{-r}+2^{-n_i+n_0+1},$$
$$i=1,2,.. \qquad (23)$$

და

$$v_i-u_i=z_i-y_i>\gamma 2^{-n_i}, \quad i=1,2,...\backslash \qquad (24)$$

განვსაზღვროთ f ფუნქცია შემდეგნაირად:

$$f(t)=\begin{cases} 1, \text{ თუ } t\in(u_i,v_i),\ i=1,2,..., \\ -1, \text{ თუ } t\in(y_i,z_i),\ i=1,2,..., \\ 0, \text{ თუ } t\in R\setminus\bigcup_{i=1}^{\infty}((u_i,v_i)\cup(y_i,z_i)). \end{cases} \qquad (25)$$

(22)-დან გამომდინარეობს, რომ $z_{i+1}<u_i$, $i=1,2,...$. ამიტომ f ფუნქცია კორექტულადაა განსაზღვრული.

რადგან $\sum_{i=1}^{\infty}2^{-n_i}<\infty$, ამიტომ $f\in L^2(R)$.

ვაჩვენოთ, რომ $f\in A_h$.

ყოველი $x\in R$ წერტილისათვის

$$\sum_{j,k=-\infty}^{\infty}|a_{j,k}(f)h_{j,k}(x)|=\sum_{j=-\infty}^{-1}\sum_{k=-\infty}^{\infty}|a_{j,k}(f)h_{j,k}(x)|+\sum_{j=0}^{\infty}\sum_{k=-\infty}^{\infty}|a_{j,k}(f)h_{j,k}(x)|\equiv A(x)+B(x) \qquad (26)$$

$(-\infty,q2^{-r})$ ინტერვალზე f ფუნქცია მუდმივია. $(q2^{-r},\infty)$ ინტერვალზე f ფუნქცია უბან-უბან მუდმივია და წყვეტას განიცდის ორად-რაციონალურ წერტილებში. აქედან გამომდინარე ნებისმიერი $x\in(-\infty,q2^{-r})\cup(q2^{-r},\infty)$ წერტილისათვის არსებობს ისეთი $j_0>0$ ნატურალური რიცხვი, რომ ნებისმიერი ნატურალური $j>j_0$ რიცხვისათვის $a_{j,k}(f)=0,\ k\in Z$. რადგან ყოველი $j\in Z$ რიცხვისათვის ნებისმიერ $x\in R$ წერტილს მოიცავს არაუმეტეს ორი ერთმანეთის მომდევნო ჰაარის ვეივლეტის საყრდენი (ამ ფაქტს გამოვიყენებთ შემდეგშიც), ამიტომ ნებისმიერი წერტილისათვის $x\in(-\infty,q2^{-r})\cup(q2^{-r},\infty)$ (იხ. (26)) $B(x)$ არის სასრული ჯამი.

$q2^{-r}$ წერტილისათვის გვექნება, რომ

$$B(q2^{-r}) = \sum_{j=0}^{l_0-1}\left(\left|a_{j,k_j}(f)h_{j,k_j}(q2^{-r})\right| + \left|a_{j,k_j+1}(f)h_{j,k_j+1}(q2^{-r})\right|\right) +$$

$$+\sum_{j=l_0}^{\infty}\left|a_{j,q2^{j-r}}(f)h_{j,q2^{j-r}}(q2^{-r})\right|.$$

ნებისმიერი $j \geq l_0$ მთელი რიცხვისათვის ყოველი ოთხეული u_i, v_i, y_i, z_i $(i = 1,2,\ldots)$, რომლისთვისაც $u_i < q2^{-r} + 2^{-j}$, ეკუთვნის ან $\overset{+}{\Delta}{}^{(j)}_{q2^{j-r}}$ ან $\overset{-}{\Delta}{}^{(j)}_{q2^{j-r}}$ ინტერვალს (იხ. (23)). ამასთან (იხ. (24))

$$\int_{u_i}^{z_i} f(t)dt = 0, \quad i = 1,2,\ldots. \tag{27}$$

ამიტომ $a_{j,q2^{j-r}}(f) = 0, \quad j = l_0, l_0+1, \ldots$. მაშასადამე $B(q2^{-r})$-ც სასრული ჯამია.

ყოველი $x \in R$ წერტილისათვის არსებობს ისეთი უარყოფითი მთელი j_0 რიცხვი, რომ ნებისმიერი $j < j$ მთელი რიცხვისათვის ყოველი ოთხეული u_i, v_i, y_i, z_i $(i = 1,2,\ldots)$ ეკუთვნის ან $\overset{+}{\Delta}{}^{(j)}_x$ ან $\overset{-}{\Delta}{}^{(j)}_x$ ინტერვალს. ამიტომ (იხ. (27)) ნებისმიერი $x \in R$ წერტილისათვის $A(x)$ არის სასრული ჯამი.

ამრიგად, ნებისმიერი $x \in R$ წერტილისათვის

$$\sum_{j,k=-\infty}^{\infty} |\, a_{j,k}(f)h_{j,k}(x)\,| < \infty.$$

მაშასადამე $f \in A_h$.

$f \circ \varphi$ სუპერპოზიციისათვის გვექნება, რომ (იხ. (25))

$$f(\varphi(t))=\begin{cases} 1, \text{ თუ } t\in\left(\varphi^{-1}(u_i),\varphi^{-1}(v_i)\right), i=1,2,\ldots \\ -1, \text{ თუ } t\in\left(\varphi^{-1}(y_i),\varphi^{-1}(z_i)\right), i=1,2,\ldots \\ 0, \text{ თუ } t\in R\setminus\bigcup_{i=1}^{\infty}\left[\left(\varphi^{-1}(u_i),\varphi^{-1}(v_i)\right)\cup\left(\varphi^{-1}(y_i),\varphi^{-1}(z_i)\right)\right] \end{cases} \tag{28}$$

(23)-დან ვღებულობთ, რომ

$$b=p2^{-r}<\varphi^{-1}(u_i)<\varphi^{-1}(v_i)<b+2^{-n_i}<\varphi^{-1}(y_i)<\varphi^{-1}(z_i),\ \ i=1,2,.. \tag{29}$$

(19)-დან გამომდინარეობს, რომ

$$\frac{1}{\eta}<(\varphi^{-1})'(x)<\frac{1}{\zeta},\ \ x\in(\varphi(b),\varphi(b+\delta)).$$

ამიტომ (იხ. (19), (24))

$$\varphi^{-1}(v_i)-\varphi^{-1}(u_i)=(\varphi^{-1})'(c_i)(v_i-u_i)>\frac{\gamma}{\eta}2^{-n_i}>\gamma 2^{-n_i-n_0-1} \tag{30}$$

სადაც $c_i\in\left(u_i,v_i\right)$. ანალოგიურად მივიღებთ, რომ

$$\varphi^{-1}(z_i)-\varphi^{-1}(y_i)<\frac{1}{\zeta}(z_i-y_i),\ \ i=1,2,... \tag{31}$$

ვთქვათ $l_i=p2^{n_i-r},\ \ i=1,2,...\setminus$ განვიხილოთ კოეფიციენტები

$$a_{n_i,l_i}(f\circ\varphi)=\sqrt{2^{n_i}}\left(\int_{\overset{+}{\Delta}{}_{l_i}^{(n_i)}}f(\varphi(t))dt-\int_{\overset{-}{\Delta}{}_{l_i}^{(n_i)}}f(\varphi(t))dt\right),\ \ i=1,2,...\setminus \tag{32}$$

(19)-დან გამომდინარეობს, რომ

$$2^{-n_0-1}<\frac{1}{\eta}<\frac{x-b}{\varphi(x)-\varphi(b)}<\frac{1}{\zeta}<2^{-n_0},\ \ x\in(b,b+\delta). \tag{33}$$

ამიტომ $\varphi(b+2^{-n_i-1})<\varphi(b)+2^{-n_i+n_0}$ აქედან გამომდინარე ყოველი $i\in N$ რიცხვის-

თვის $\left(\varphi^{-1}(u_i),\varphi^{-1}(v_i)\right)\subset \overset{-}{\Delta}{}^{(n_i)}_{l_i}$. (22)-დან გამომდინარეობს, რომ $n_{i+1} > n_i + 2$, $i = 1,2,\dots$, ამიტომ

$$\varphi(b) + 2^{-n_{i+1}+n_0+1} < \varphi(b) + 2^{-n_i+n_0-1}, \quad i = 1,2,\dots\backslash \tag{34}$$

გარდა ამისა (იხ. (33))

$$\varphi(b + 2^{-n_i-1}) > \varphi(b) + 2^{-n_i+n_0-1}, \quad i = 1,2,\dots\backslash \tag{35}$$

(34) და (35) თანაფარდობებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\varphi(b) + 2^{-n_{i+1}+n_0+1} < \varphi(b + 2^{-n_i-1}),$$

ამიტომ (იხ. (23)) ყოველი $i \in N$ რიცხვისთვის $(\varphi^{-1}(u_s),\varphi^{-1}(z_s)$ ინტერვალი, $s=i+1, i+2,\dots,$ შედის $\overset{+}{\Delta}{}^{(n_i)}_{l_i}$-ში. (23)-დან გამომდინარეობს, რომ $(\varphi^{-1}(y_i),\varphi^{-1}(z_i))$ ინტერვალი და $(\varphi^{-1}(u_s),\varphi^{-1}(z_s))$, $s<i$, $s\in N$, ინტერვალები შედიან ინტერვალ $(p2^{-\Gamma}+2^{-n_i}, +\infty)$-ში. ყოველივე ამის გამო (იხ. (28), (31), (23), (22))

$$\left|\int\limits_{\overset{+}{\Delta}{}^{(n_i)}_{l_i}} f(\varphi(t))dt\right| = \left|\sum_{s=i+1}^{\infty}\left(\int\limits_{\varphi^{-1}(u_s)}^{\varphi^{-1}(v_s)} f(\varphi(t))dt + \int\limits_{\varphi^{-1}(y_s)}^{\varphi^{-1}(z_s)} f(\varphi(t))dt\right)\right| \le$$

$$\le \sum_{s=i+1}^{\infty}\left(\varphi^{-1}(z_s) - \varphi^{-1}(u_s)\right) < \frac{1}{\zeta}\sum_{s=i+1}^{\infty}(z_s - u_s) < \frac{1}{\zeta}\sum_{s=i+1}^{\infty}2^{-n_s+n_0} < \frac{2^{n_0}}{\zeta}2^{-n_{i+1}+1} <$$

$$< \gamma 2^{-n_i+n_0-2|n_0|-2}, \quad i = 1,2,\dots\ . \tag{36}$$

(30)-დან გამომდინარეობს, რომ

$$\left|\int\limits_{\overset{-}{\Delta}{}^{(n_i)}_{l_i}} f(\varphi(t))dt\right| = \varphi^{-1}(v_i) - \varphi^{-1}(u_i) > \gamma 2^{-n_i-n_0-1}, \quad i = 1,2,\dots\ . \tag{37}$$

(36) და (37) შეფასებების ძალით (32) დან ვღებულობთ, რომ

$$\left|a_{n_i,l_i}(f\circ\varphi)h_{n_i,l_i}(p2^{-r})\right|\geq 2^{n_i}\gamma\left(2^{-n_i-n_0-1}-2^{-n_i+n_0-2|n_0|-2}\right)=$$

$$=\begin{cases}\gamma\left(2^{-n_0-1}-2^{-n_0-2}\right), & \text{თუ } n_0>0\\ \gamma\left(2^{|n_0|-1}-2^{-3|n_0|-2}\right), & \text{თუ } n_0<0\end{cases}\geq\gamma 2^{-|n_0|-2},\quad i=1,2,\ldots.$$

უკანასკნელი შეფასებებიდან გამომდინარეობს, რომ $f\circ\varphi$ ფუნქციის ფურიეს მწკრივი ჰაარის ვეივლეტის მიმართ განშლადია $b=p2^{-r}$ წერტილში. ე. ი. $f\circ\varphi\notin S_h$.

თეორემა დამტკიცებულია.

თეორემა 1.1.1 და თეორემა 1.2.1-დან გამომდინარეობს, რომ სამართლიანია შემდეგი:

შედეგი 1.2.1. ყველა უწყვეტად დიფერენცირებად $\varphi: R\to R$ ჰომემორფიზმებს შორის მხოლოდ H კლასის ჰომემორფიზმები მოქმედებენ A_h კლასში.

შედეგი 1.2.2. ყველა უწყვეტად დიფერენცირებად $\varphi: R\to R$ ჰომემორფიზმებს შორის მხოლოდ H კლასის ჰომემორფიზმები მოქმედებენ S_h კლასში.

თავი II.
შემოსაზღვრული ფუნქციის ფურიე-ჰაარის ჯერადი მწკრივის ნული ზომის სიმრავლეზე განშლადობის შესახებ

§1. n-განზომილებიანი ორადი კუბების სისტემა

n-განზომილებიან $[0,1]^n$ კუბზე განსაზღვრული ლებეგის აზრით ინტეგრებადი f ფუნქციის ფურიე-ჰაარის n-ჯერად მწკრივს აქვს შემდეგი სახე:

$$f(t_1,t_2,\dots,t_n)\sim \sum_{p_1,p_2,\dots,p_n=0}^{\infty} a_{p_1,p_2,\dots,p_n}(f)\chi_{p_1}(t_1)\chi_{p_2}(t_2)\cdots\chi_{p_n}(t_n), \quad (38)$$

$$(t_1,t_2,\dots,t_n)\in[0,1]^n,$$

სადაც

$$a_{p_1,p_2,\dots,p_n}(f)=\int_{[0,1]^n} f(t_1,t_2,\dots,t_n)\chi_{p_1}(t_1)\chi_{p_2}(t_2)\cdots\chi_{p_n}(t_n)dt_1dt_2\cdots dt_n,$$

f ფუნქციის ფურიე-ჰაარის კოეფიციენტებია, ხოლო $\{\chi_{p_1}\chi_{p_2}\cdots\chi_{p_n}\}$— ჰაარის n-ჯერადი სისტემაა, $p_1,p_2,\dots,p_n=1,2,\dots,$ $n\ge 2$, $n\in \mathbb{N}$.

ამ თავში ვგულისხმობთ, რომ $n\in\mathbb{N}$ და $n\ge 2$.

38) მწკრივის ზოგადი წევრი, როცა $p_1,p_2,\dots,p_n=1,2,\dots,$ ჩაიწერება შემდეგნაირად

$$a_{p_1,p_2,\dots,p_n}(f)\chi_{p_1}(t_1)\chi_{p_2}(t_2)\cdots\chi_{p_n}(t_n)=$$

$$=a_{m_1,m_2,\cdots,m_n}^{(k_1,k_2,\cdots,k_n)}(f)\chi_{m_1}^{(k_1)}(t_1)\chi_{m_2}^{(k_2)}(t_2)\cdots\chi_{m_n}^{(k_n)}(t_n),$$

სადაც $p_j=2^{m_j}+k_j,\quad m_j\in Z_0,\quad k_j=0,1,\dots,2^{m_j}-1,\quad j=1,2,\dots,n$

შემოვიღოთ ნახევრად ღია, n-განზომილებიანი ორადი კუბების $\left\{\Gamma_k^{(i)}\right\}_{i,k=1}^{\infty}$ სისტემა ამისათვის განვიხილოთ ორადი ინტერვალების n ცალი ნებისმიერი სისტემა

$$\{[\alpha_{j,k}^{(i)},\beta_{j,k}^{(i)})\}_{i,k=1}^{\infty},\ \ j=1,2,\dots,n, \tag{39}$$

რომელსაც აქვს შემდეგი თვისება:

ნატურალურ რიცხვთა ნებისმიერი i,k წყვილისათვის $[\alpha_{j,k}^{(i)},\beta_{j,k}^{(i)})$ ინტერვალების რანგები ერთმანეთის ტოლია. შევნიშნოთ, რომ ორადი $[\alpha_{j,k}^{(i)},\beta_{j,k}^{(i)})$ ინტერვალის რანგი

$$r_{j,k}^{(i)}=\log_2\left(\beta_{j,k}^{(i)}-\alpha_{j,k}^{(i)}\right)^{-1}\equiv r_k^{(i)},\ \ j=1,2,\dots,n.$$

დავაფიქსიროთ ნებისმიერი $i,k\in N$ რიცხვები. ორადი ინტერვალის განსაზღვრის საფუძველზე გვექნება:

$$[\alpha_{j,k}^{(i)},\beta_{j,k}^{(i)})\equiv\Delta^{(r_k^{(i)})}_{2^{r_k^{(i)}}\cdot\alpha_{j,k}^{(i)}},\ \ j=1,2,\dots,n. \tag{40}$$

ცნობილია, რომ ნებისმიერი ორადი ინტერვალისათვის სამართლიანია წარმოდგენა:

$$\Delta_k^{(m)}=\bigcup_{u^{(s)}=0}^{2^s-1}\Delta^{(m+s)}_{2^s\cdot k+u^{(s)}},\ \ s=0,1,\dots\ .$$

უკანასკნელი ტოლობის საფუძველზე გვექნება, რომ

$$\Delta^{(r_k^{(i)})}_{2^{r_k^{(i)}}\cdot\alpha_{j,k}^{(i)}}=\bigcup_{u_j^{(s)}=0}^{2^s-1}\Delta^{(r_k^{(i)}+s)}_{2^{r_k^{(i)}+s}\cdot\alpha_{j,k}^{(i)}+u_j^{(s)}},\ s\in Z_0,\ \ j=1,2,\dots,n. \tag{41}$$

შემოვიღოთ აღნიშვნები[1)] (იხ. (40), (41)):

$$\Gamma^{(i)}_{k;s;u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}}\equiv\prod_{j=1}^{n}\Delta^{(r_k^{(i)}+s)}_{2^{r_k^{(i)}+s}\cdot\alpha_{j,k}^{(i)}+u_j^{(s)}}, \tag{42}$$

$$s\in Z_0,\ \ u_j^{(s)}=0,1,,\dots,2^s-1,\ \ j=1,2,\dots,n;$$

$$\Gamma_k^{(i)}\equiv\Gamma^{(i)}_{k;0;0,\dots0}.$$

ცხადია, რომ (იხ. (41), (42))

[1)] სიმბოლო $\prod$ აღნიშნავს სიმრავლეთა დეკარტულ ნამრავლს.

$$\Gamma_k^{(i)} = \bigcup_{u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}=0}^{2^s-1} \Gamma^{(i)}_{k;s;u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}},\ s\in Z_0, \tag{43}$$

და

$$\Gamma^{(i)}_{k;s;u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}} = \bigcup_{i_1,i_2,\dots,i_n=0}^{1} \Gamma^{(i)}_{k;s+1;2u_1^{(s)}+i_1,u_2^{(s)}+i_2,\dots,u_n^{(s)}+i_n}, \tag{44}$$

$$s\in Z_0,\ u_j^{(s)}=0,1,\dots,2^s-1,\ j=1,2,\dots,n.$$

(42)-დან გამომდინარეობს, რომ

$$\mu\,\Gamma^{(i)}_{k;s;u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}} = 2^{-nr_k^{(i)}-ns}, \tag{45}$$

ყოველი s-თვის ($s\in Z_0$) და $u_j^{(s}$-თვის ($u_j^{(s)}=0,1,\dots,2^s-1;\ j=1,2,\dots,$).

დამატებით შემოვიღოთ ასეთი აღნიშვნები:

$$\overset{*}{\Gamma}{}^{(i)}_{k;s;u_1^{(s)},u_2^{(s)},\dots,u_n^{(s)}} \equiv \prod_{j=1}^{n}\left(\alpha_{j,k}^{(i)}+2^{-r_k^{(i)}-s}u_j^{(s)}-2^{-r_k^{(i)}-s-1}2,\alpha_{j,k}^{(i)}+2^{-r_k^{(i)}-s}u_j^{(s)}+2^{-r_k^{(i)}-s}\right),$$

$$s\in Z_0,\ u_j^{(s)}=0,1,\dots,2^s-1,\ j=1,2,\dots,n. \tag{46}$$

რაიმე A სიმრავლისათვის $(A)'$ აღნიშნავდეს A სიმრავლის საზღვრის იმ ნაწილს, რომელიც მასვე ეკუთვნის, ხოლო $\overset{\circ}{A}\equiv A\setminus(A)'$.

ჩანაწერი $2\mid n$ აღნიშნავდეს, რომ n არის ლუწი.

ჩანაწერი $2\overline{\mid} n$ აღნიშნავდეს, რომ n არის კენტი.

§2. ნული ზომის სიმრავლეზე განშლადობა

სამართლიანია შემდეგი

